ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 25 მარტი 2019წ.

მისამართი:
ქალაქი თბილისი,დასახლება ვაზისუბანი,კოპრპუსი №5-იდ მიმდებარედ;

საკადასტრო კოდი:
01.17.10.002.296;

ფართობი:
1430.00 კვ.მ;

მესაკუთრე:
შპს " ჯეო დეველოპმენტ ჯგუფი" ID ნომერი: 406189002

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტი არის რელიეფურად დამრეცია . აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
2	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	8	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას

3	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	8	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
4	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	16	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
5	აკაკი- Celtis dlabrata	ხე	15	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
6	აკაკი- Celtis dlabrata	ხე	19	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	აკაკი- Celtis dlabrata	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	აკაკი- Celtis dlabrata	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
9	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	31	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	18	ჯანსაღი	გადაბელილი ექვემდებარება გადარგვას
11	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	17	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
12	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	25	ფაუტი	ექვემდებარება გადარგვას
13	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
14	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	17	ჯანსაღი	გადაბელილი ექვემდებარება გადარგვას
15	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	20	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
16	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	15	ჯანსაღო	ექვემდებარება გადარგვას
17	თუთა-Morus alba	ხე	20	ფაუტი	გადაბელილი
18	თუთა-Morus alba	ხე	37	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

19	ლეღვი-Ficus carica	ხე	28	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
20	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	12	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
21	აკაკი- Celtis dlabrata	ხე	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
22	ლეღვი-Ficus carica	ხე	16	ხმობადი	
23	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	15	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
24	ლეღვი-Ficus carica		15	ხმობადი	
25	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	5	ხმობადი	
26	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	4	ხმობადი	
27	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	6	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
28	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
29	ვერხვი-Populus alba	ხე	30	ზეხმელი	წაქცეული მოჭრა
30	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	20	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
31	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	6	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
32	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	6	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

33	ვერხვი-Populus alba	ხე	28	ზეხმელი	მოჭრა
34	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
35	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	9	ჯანსაღი	გადაბელილი ექვემდებარება გადარგვას
36	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	11	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
37	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
38	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	12	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
39	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	12	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
40	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
41	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	13	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
42	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	6	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
43	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
44	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	6	ჯანსაღი	გადაბელილი ექვემდებარება გადარგვას
45	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

46	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
47	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
48	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	14	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
49	ვერხვი-Populus alba	ხე	36	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
50	ვერხვი-Populus alba	ხე	40	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
51	ტირიფი-Salix magnifica	ხე	10	ჯანსაღი	გადაბელი ექვემდებარება გადარგვასი
52	ტირიფი-Salix magnifica	ხე	44	ხმობადი	
53	ტირიფი-Salix magnifica	ხე	48	ხმობადი	ორკაპი
54	ვერხვი-Populus	ხე	12	ხმობადი	
55	ტირიფი-Salix magnifica	ხე	38	ხმობადი	
56	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	16	ხმობადი	
57	ვერხვი-Populus alba	ხე	34	ზეხმელი	მოჭრა
58	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	10	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
59	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
60	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	8	ჯანსაღი	გადაბელილი

61	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
62	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	11	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
63	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	15	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
64	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	6	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
65	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	16	ხმობადი	
66	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	6	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
67	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	15	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
68	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo L.	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
69	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	12	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
70	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	10	ხმობადი	
71	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	11	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
72	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
73	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
74	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
75	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	12	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

76	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
77	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
78	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
79	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
80	ხემყრალა-Ailantus altissima	ხე	18	ხმობადი	
81	ვერხვი-Populus alba	ხე	46	ხმობადი	
82	კაკალი-Juglans regia	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
83	გლედიჩია - Gleditsia triacanthos	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
84	ვაშლი-Malus	ხე	13	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
85	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
86	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
87	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	10	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
88	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	10	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
89	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
90	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	11	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
91	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	10	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
92	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	12	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
93	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	13	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
94	ჭერამი-Pr. Armenica	კუნძი	14	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან

95	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	17	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
96	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	12	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
97	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	10	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
98	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
99	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	10	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
100	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
101	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
102	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
103	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
104	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
105	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
106	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	9	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
107	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
108	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
109	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	11	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
110	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	12	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
111	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	7	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
112	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
113	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
114	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	6	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან

115	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	14	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან
116	ხემყრალა-Ailantus altissima	კუნძი	8	ჯანსაღი	მოჭრილია 20 სმ-ზე ფს.ყ-დან

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 116

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 4

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 66

ზეხმელი ხე–მცენარეები : 3

ხმობადი ხე–მცენარეები : 13

კუნძები: 32

კერძოდ:

1. ძვირფასი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 3 ძირი:

1ძირი(№82) - კაკალი(Juglans regia);

2ძირი(№ 17,18) -თუთა (Morus alba).

2.იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 77 ძირი:

2ძირი(№ 1, 23)- იფანი(Fraxinus excelsior);

34ძირი(№ 2,3, 12,25,26, 27, 28, 30, 34, 35, 36, 37,38,39,40,41,42,43,44,45,46,47,48, 56, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68)- ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo L.);

4ძირი(№ 4, 31, 32, 65) - დიადი ბოყვი(Acer pseudoplatanus);

5ძირი(№ 5, 6, 7, 8, 21)- აკაკი(Celtis dlabrata);

7ძირი(№ 29, 33, 49, 50, 54, 57, 81) - ვერხვი(Populus alba);

20ძირი(№ 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 20, 69, 60, 71, 72,73,74, 75,76,77,78, 79, 80) - ხემყრალა(Ailantus altissima)

4ძირი(№ 51, 52, 53, 55) - ტირიფი(Salix magnifica);

1ძირი(№ 83) - გლედიჩია (Gleditsia triacanthos).

3. ხილ-კენკროვანი ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარეები 4 ძირი:

აქედან 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის 3 ძირი:

1ძირი(№ 84) -ვაშლი(Malus);

3ძირი(№19, 22, 24,)- ლეღვი(Ficus carica).

4. კუნძები 32 ძირი:

31ძირი(№85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116) - ხემყრალა(Ailantus altissima);

1ძირი(№94) - ჭერამი(Pr. Armenica).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

მერქნიანი ჯიშების ფესვი ამაგრებს მცენარეს ნიადაგთან, აწვდის და აკმაყოფილებს მას წყლით,მინერალური საკვებით, ამიტომ მისი ამოღების დროს უნდა გავითვალისწინოთ მცენარის ფესვის განლაგება.გადარგვის წინ სასურველია 2-3 დღით ადრე მცენარის მორწყვა, რათა გაგვიადვილდეს მიწის სამუშაოების ჩატარება (მოჭრა) და შევინარჩუნოთ მიწის გუნდა (ბელტი). ვინაიდან ხე-მცენარეს დიდი დიამეტრი აქვს,მიწის მოჭრა (ამოღება) მექანიზმის საშუალებით შემდეგნაირად ხდება: მცენარის გარშემო 1.5 მ-ის დაშორებით უნდა ამოიჭრას ნიადაგი ,და შემდეგ მცენარე უნდა ამოწიოს ამწემ, ფრთხილად უნდა დამუშავდეს ფესვთა სისტემა,წინააღმდეგ შემთხვევაში ფესვი იღუნება და იწყებს ლპობას. ფესვების დამუშავების შემდეგ მიწის გუნდა უნდა შეიფუთოს ჯვალოს ნაჭრით და გადატანილ იქნას წინასწარ გამზადებულ ორმოში ზომით 2X2 მ-ზე, რომლის ძირშიც ჩაყრილი უნდა იყოს სილისა და ორგანული სასუქის ნაზავი 2-3 სმ-ი სისქის.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა

გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

რაც შეეხება 25სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეებს ითვლება მაღალი ტანის ეგზემპლარებს, რომელთა გადარგვას ჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება

ექსპერტი: 

გიორგი ტივაძე.






























FORK

6













topo gegma



pirobiTi aRniSvnebi

- Wa
- q.s-q.a — Senoba nageboba
- 0.10 el gadamcemi xazi
- el xazi
- el boZi
- g — gazi
- xe foTlovani
- xe wiwvovani
- buCqebi
- nergebi
- kunZi
- palma onkani
- nakveTis sazRvari
- reg. nakveTi
- reliefi
- asfaltis gza
- gruntis gza
- xis Robe
- liTonis Robe
- qvis Robe
- w — wyali
- kn — kanalizacia
- flate
- UTM (saerTaSoriso) sistemis koordinatebi

nakveTis sak. kodi: 01.17.10.002.296

WGS 1984 -is koordinatTa sistemis UTM proeqcia

azomili farTobi	1430kv.m	S.p.s ,,izografiki"	
miwis nak. daniSnuleba.		said.kodi 400137838	izographic@gmail.com
misamarTi	q.Tbilisi, vazisubnis dasaxleba korp.#5 is mimdebared	azoma	g.TamaraSvili
22.10.2018 w.		daxaza	g.TamaraSvili
		dainteresebuli piri	S.p.s ,,jeo development grupi"

topo gegma



pirobiTi aRniSvnebi

Wa
q.s-q.a Senoba nageboba
0.10 el gadamcemi xazi
el xazi
el boZi
gazi
xe foTlovani
xe wiwvovani
buCqebi
nergebi
kunZi
palma onkani
nakveTis sazRvari
reg. nakveTi
reliefi
asfaltis gza
gruntis gza
xis Robe
liTonis Robe
qvis Robe
wyali
kanalizacia
flate
UTM (saerTaSoriso) sistemis koordinatebi

nakveTis sak. kodi: 01.17.10.002.296

WGS 1984 -is koordinatTa sistemis UTM proeqcia

azomili farTobi	1430kv.m	
miwis nak. daniSnuleba.		
misamarTi	q.Tbilisi, vazisubnis dasaxleba korp.#5 is mimdebared	
22.10.2018 w.		

S.p.s ,,izografiki"
said.kodi 400137838 izographic@gmail.com

azoma		g.TamaraSvili
daxaza		g.TamaraSvili
dainteresebuli piri		S.p.s ,,jeo development grupi"

ხის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია

შპს "Green BuilDers"

15.04.2019

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი #26, II სართული, ოთახი #10,
საკონტაქტო ნომერი 568 – 37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

1. ზოგადი ნაწილი

მერქნიან მცენარეებში გამოყოფენ 2 ჯგუფს : ხეს და ბუჩქს, ისინი ერთმანეთისგან ღეროს აგებულებით და თვისებებით განსხვავდებიან:

- ხეს ერთი მსხვილი მთავარი ღერო აქვს, მასზე გარკვეული სიმაღლიდან მრავალი ნაკლებლად მსხვილი ღერო იტოტება, ხის ყველა ღეროს ერთობლიობას ვარჯი ეწოდება.
- ბუჩქი ნიადაგიდან იწყებს დატოტვას, ამიტომ მას მთავარი ღერო არ აქვს. ხისა და ბუჩქის ღეროები ხშირად უხეშია.

ხეებში ფოთლის მიხედვით გამოყოფენ 2 სახეობას : წიწვოვანს და ფოთლოვანს:

- წიწვოვანი გამოირჩევა უხეში მარადმწვანე ნემსისებრი ან ქერცლისებრი ფოთლებით.
- ფოთლოვანი გამოირჩევა ფართო და ბრტყელი ფოთლები, რომელთა სისქე გაცილებით ნაკლებია სიგრძესა და სიგანეზე, ასეთი სახის ფოთლები ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ცვივა.

ხეების ძირითადი ნაწილებია : ფესვი, ღერო, ვარჯი, ფოთოლი:

- ფესვი - ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვა ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე და ორგანული ნივთიერებათა სინთეზი, ხშირად ფესვი სამარაგო ნივთიერებების სათავსსაც წარმოადგენს და ვეგეტატიურ გამრავლებასაც ემსახურება. ფესვი იყოფა ორ ნაწილად : მთავარღერძიანი და ფუნჯა;
- ღერო - ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, მიმწოდებელი და დამგროვებელი ფუნქცია.
- ვარჯი - ხის ტანის მიწის მიწისზედა განშტოება;
- ფოთოლი - მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

2. ხე-მცენარეების გადარგვა

დიდი ზომისა და ასაკის ხეების გადარგვას ხშირად მიმართავდნენ მწვანე მშენებლობაში, როდესაც სურდათ ძველ ნარგაობებში აღედგინათ გამხმარი ან დაზიანებული მცენარეებით შექმნილი ხარვეზები, ანდა ახალი ობიექტის გამწვანების პროცესში სწრაფად მიეღოთ დეკორაციული ეფექტი.

ეს სამუშაოები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის მიწურულს. ამ დროს გადასარგავი ხეების სახეობები, მათი წარმოშობა, ხნოვანება, ხარისხი და ზომები, ასევე, ზრდის პირობები, გადარგვის დრო და ხერხი იმდენად თავისებული იყო, რომ კარგ შესწავლასა და პრაქტიკაში შემდგომ გამოყენებას მოითხოვდა.

დიდი ხეების გადარგვის რამდენიმე მეთოდი არსებობს,ესენია :

1. მიწის კომით ხის გადარგვა;
2. ანტიტრანსპირანტების გამოყენებით;
3. დეფოლიანტების გამოყენებით;

დღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების გადარგვა მიწის კომით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კომში ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელი.

დიდი ზომის ხეების გადარგვისას მიწის კომის და მასთან ერთად ფესვთა სისტემის შესანარჩუნებლად გამოიყენება სხვადასხვა შესაფუთი საშუალება : ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციები, ჭილოები და სხვა.

3.ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავის ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

4.ხის ნიადაგიდან ამოღება

დიდი ზომის ხის ნიადაგიდან ამოღება ხდება :

- 4.1 სპეციალური ხის გადასარგავი მექანიზმით : ტიპიური მექანიზმი შედგება რამდენიმე რიგი ნიჩბებისაგან, რომელიც გარშემოერტყმება ხეს და ახდენს მის

გარშემო წრიულად ჩაბარვას. შემდეგ ხდება მისი ნიადაგიდან ამოღება ხის ფესვებთან და მიწის კომთან ერთად.

- **4.2 ხის გადარგვა ესკავატორისა და ამწეს დახმარებით**: თავდაპირველად უნდა მოხდეს მიწის კომის მოჭრა, რომელიც დამოკიდებულია ხის ჯიშზე, ნიადაგის სიმკვრივეზე და ფესვთა სისტემის განვითარებაზე, მაგალითად :
  10-15 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას კომი შემდეგი პროპორციით : 0.9 -1.0 x0.9-1.0x0.5 მ.
  16-20 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.5-1.7 x1.5-1.7x0.6 მ.
  21-25 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.2-1.4 x 1.2-1.4 x 0.7 მ.
  უფრო მოზრდილი ხეებისთვის 2.0 x 2.0 x 0.8მ.

ყუთში შესაფუთი მცენარის ირგვლივ 50-60 სმ სიგანის არხი უნდა შემოიჭრას. არხი 10-15 სმ-ით უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ამოსაღები კომის ძირია, ოთხკუთხი კომი მიწის ქვედა ნაწილი, ყუთის ზედა ნაწილთან შედარებით 15-25 სმ-ით უფრო ვიწრო უნდა იყოს.

კომს გვერდებზე უნდა შემოეწყოს 3-6 სმ სისქის ფიცრები, შემოიჭედოს ფრთხილად და მსხვილი მავთულით ჯვარედინად ოთხ ადგილას შეიკრას.კომსა და ყუთის კედლებს შორის სიცარიელე ფხვიერი მიწით უნდა ამოივსოს.

შეფუთული მცენარე ავტოამწეს კაუჭზე იმგვარად უნდა გამოებას, რომ ყუთი და მცენარის ღერო ოდნავ გვერდზე გადაწეულ მდგომარეობაში იყოს.

ამოთხრის წინ ხეს უნდა შეეჭრას დაზიანებული და ხმელი ტოტები, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში ფესვთა სისტემის უკეთესი ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა მოხდეს მცენარის ტოტების მაქსიმალურად შეკვეცა.

აწევისას მცენარე იღებს ჰორიზონტალურ მდგომარეობას და ასევე დაწოლილი უნდა მოთავსდეს მანქანის ძარაში ან სპეციალურად კონსტრუირებულ ურიკა-ფორანზე. მანქანიდან ყუთში შეფუთული მცენარის გადმოღებისას გვარლი ყუთს ისე უნდა შეებას, რომ ხე ვერტიკალურად აიწიოს. იმ შემთხვევაში თუ მცენარის ზედა ნაწილი უფრო მძიმეა და დასძლევს ყუთს, საჭიროია ხის ღეროს თოკი მოებას და მოვსდოთ კაუჭს, რაც მცენარეს მისცემს ვერტიკალურ მდგომარეობას.

მოზრდილი ხის დასარგავ ადგილას ორმოს თხრიან იმ ვარაუდით, რომ კომი მიწასა და ორმოს ნაპირებს შორის დარჩეს თავისუფალი სულ მცირე 50 სმ სიგანის ადგილი, ხოლო სიღრმეში 30-50 სმ. ფსკერზე ყრიან ფხვიერ ნოყიერ მიწას, რადგან ახლად დარგული ხე ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ მაღლა უნდა იყოს (დაჯდომის შემთხვევისათვის). ორმოში ფრთხილად უნდა ჩავუშვათ ყუთი და მოვაცალოთ გვერდის ფიცრები, ხოლო ფსკერის ფიცრები მიწაში რჩება, რომელიც 1-3 წლის

განმავლობაში ჩალპება და ხელს არ შეუშლის ფესვის განვითარებას. თუ ნიადაგი ფხვიერა და იშლება, ყუთის გვერდების შემოცლა არ არის საჭირო, ასეთ შემთხვევაში ფიცარი უნდა დაიხვრიტოს ბურღით რამდენიმე ადგილას.

ორმოში მოთავსებულ მცენარეს შემოეყრება შეზავებულ ფხვიერ მიწა, მაგრად შემოეტკეპნება ირგვლივ კომის მიწის შეუხებლად და აივსება ყველა ცარიელი ადგილი, რაც უზრუნველყოფს კონტაქტს ფესვთა სისტემასა და ნიადაგს შორის.

5. გადარგვის შემდგომი მოვლა

გადარგულ ხე ჭარბად ირწყვება, რომ მიწით ამოივსოს სიცარიელე. ხის ღეროს მისი სიმაღლის ნახევარზე ზემოთ, შემოეხვევა ქეჩა და მსხვილი თოკით ან მავთულით ნიადაგში ოთხ ადგილას დამაგრდება.

შემდგომ ხე უმთავრესად საჭიროებს სისტემატიურ რწყვას დილით ან საღამოთი, ნიადაგის გათოხნას და გაფხვიერებას.

მისამართი :

გადასარგავი ხე-მცენარეები განთავსებულია ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპ #5-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.17.10.002.296)

გადასარგავი ხე-მცენარეები :



ლეღვი (Ficus carica) - სუბტროპიკული მცენარე თუთისებრთა ოჯახიდად, გვარი - ფიკუსი. ლეღვი მეჩხერად დატოტვილი ხეა. სიმაღლე 4-12 მ აღწევს. ნორჩი ყლორტები მომწვანო-ნაცრისფერია, შებუსვილი ან შიშველი, შეიცავს რძეწვენს. ლეღვი ერთ- ან ორსახლიანი მცენარეა. ერთსქესიანი ყვავილები მოთავსებულია ძალზე გამსცვილებულ ყვავილსაჯდომის ღრუში. ყვავილსაჯდომის კედლები გამოფენილია. მრავალი წვრილი ბუტკოიანი (მდედრობითი) ყვავილით, მტვრიანიანი (მამრობითი) ყვავილები კი მის ზედა ნაწილშია მოქცეული. ყვევილები იმტვერება პატარა კრაზანის — პლასტოფაგას მეშვეობით. ნამდვილი ნაყოფი პაწაწინა კაკლუჭაა. ნაყოფედი (ცრუ ნაყოფი), რომელიც საჭმელად იხმარება, ზოგჯერ პართენოკარპულად (გაუნაყოფიერებლად) ვითარდება. ლეღვი ნიადაგისადმი დიდ მომთხოვნელობას არ იჩენს — კარგად ეგუება მშრალ, ქვაღორდიან, კირნარ ადგილებს, ხარობს ხრიოკებზე, ჩამონაზვავებზე, ზოგჯერ შენობების ნანგრევებზე და კლდეებზეც კი.

ღრმა ნიადაგზე და ზომიერად ტენიან პირობებში საკმაოდ მაღალ ტემპერატურას უძლებს, დაბალი ტემპერატურისადმი კი უფრო მგრძნობიარეა და 12-14 °C-ზე უკვე ნაწილობრივ ზიანდება. ცოცხლობს 100-200 წელს.

ლეღვი ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში, ირანსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში, კულტივირებულია მრავალ ქვეყნებში, განსაკუთრებით თურქეთში, ალჟირსა და აშშ-ში. საქართველოში გვხვდება ყველგან მთის ქვედა სარტყელსა და დაბლობებზე. ხშირად გაველურებულია. ლეღვის ნაყოფი ნაზია, დიდხანს არინახება, ჯიშისა და სიმწიფის კვალობაზე იგი შეიცავს (%-ობით): 12-23 შაქარს, 0,5-4,2 პექტინოვან ნივთიერებებს, 3,4-7,4 უჯრედისს: 1-მდე მჟავებს, მდიდარია C, B1, B2 ვიტამინებით, კაროტინით, კალციუმით, რკინით, ფოსფორით.

ლეღვს იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (ჩირი, მურაბა, ჯემი, კომპოტი). მშრალი ლეღვის კალორიულობა მაღალია და 50-77% შაქარს შეიცავს.

საქართველოში ლეღვი ძველთაგანვე ცნობილია და ფართოდაა კულტივირებული კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში. უცხოური ჯიშებიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს თათრულს ლეღვს, ჩაფლას, შაქარა ლეღვს ჩიტა ლეღვს, დიდ ლეღვს, ოქრო ლეღვს, ღვინა ლეღვს, ტაბაკა ლეღვს, შავ ლეღვს და სხვა. ლეღვს ამრავლებენ თესლით, კალმით, გადაწვენითა და ფესვის ამონაყარით. ლეღვის მავნებლებია ფქვილისებრი ცრუფარიანა, ლეღვის ფარიანა, ფსილა, ალურა, ცილაჭამია და სხვა.



ვერხვი (Populus) - დიდი ზომის ფოთოლმცენი, ორსახლიანი ხეების გვარი ტირიფისებრთა ოჯახიდან. ყვავის ადრე გაზაფხულზე, ფოთლების გაშლამდე, ზოგიერთი — ფოთლების გამოტანასთან ერთად. ერთსა და იმავე ხეს სხვადასხვა ტოტზე სხვადასხვა ფორმის ფოთოლი ასხია. ნაყოფი კოლოფია. ვერხვი მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყარით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყით. სწრაფმზარდია, ხარობს კარგად დრენირებულ, ტენიან ნიადაგზე, თუმცა გაშენება თითქმის ყველანაირ ნიადაგზე შეიძლება. ზოგი სახეობა მარილგამძლეა და ხანგრძლივი დატბორვისაგან ნაკლებად ზიანდება, დაჭაობებას ვერ იტანს. სინათლის მოყვარულია, ქარგამძლე, ფართოდ იყენებენ გასამწვანებლად. იზრდება მთისა და მდინარისპირა ტყეებში. აქვს თეთრი, მსუბუქი და რბილი მერქანი, რომელსაც ქაღალდის, ასანთისა და საფანერო წარმოებაში, აგრეთვე ლატნებისა და სარების დასამზადებლად, ზოგჯერ საშენ მასალად. ქერქი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, ზოგი სახეობის სურნელოვანი კვირტები — ძვირფას ეთეროვან ზეთებს.

ცნობილია 100-ზე მეტი სახეობა, მათგან ბევრი კულტივირებულია. ჩვენში მთისა და ჭალის ტყეებში ვერხვის 8 სახეობა იზრდება: ტურანგი (Populus euphratica), თეთრი ხვალო (Populus alba), ჭალის ვერხვი (Populus canescens), მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula) და

ოფი (Populus nigra), მ. შ. ოფი, თეთრი ხვალო და მთრთოლავი ვერხვი. კულტივირებულიცაა. ინტროდუცირებული სახეობებიდან უფრო ფართოდაა მოშენებული პირამიდული ვერხვი (Populus pyramidalis), კანადური ვერხვი (Populus deltoides) და სხვა.

- #19 ლელვი - დიამეტრით 28 სმ;
- #49 ვერხვი - დიამეტრით 36 სმ;
- #50 ვერხვი - დიამეტრით 40სმ;

ზევით მოცემული, ხე–მცენარეების გადარგვა განხორციელდება ესკავატორისა და ამწეს გამოყენებით, #4.2 მეთოდის შესაბამისად.

დირექტორი



ცირა ჯაფოშვილი

ექსპერტი

გიორგი ტივაძე

ხელშეკრულება №12

ქ.თბილისი **15 აპრილი 2019 წელი**

მხარეები:

ერთის მხრივ, **შპს „ჯეო დეველოპმენტ გრუპის“** დირექტორი **ალუდა ტარტარაშვილი,** შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“.

მეორეს მხრივ, **შპს „გრიინ ბილდერსის Green BuilDers”** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ცირა ჯაფოშვილი**, შემდგომში წოდებული როგორც **„შემსრულებელი“**.

დამკვეთი და **შემსრულებელი** ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც **მხარე,** ხოლო ერთად როგორც **მხარეები**.

1. **ხელშეკრულების საგანი:**
   1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ #5-ის მიმდებარედ ს/კ: 01.17.10.002.296) არსებული 3 ძირი მწვანე ნარგავის **(#19 ლელვი** დიამეტრით 28სმ; **#49 ვერხვი** დიამეტრით 36სმ; **#50 ვერხვი** დიამეტრით 40სმ) გადარგვის სამუშაოების შესრულება.
   1.2. დამკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება.

2. **მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:**
   2.1. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

3. **მხარეთა ვალდებულებები:**
   3.1. შემსრულებელი ვალდებულია:
      3.1.1. ხარისხიანად და ჯეროვნად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.
      3.1.2. სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები.

      3.1.3. აცნობოს დამკვეთს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც აფერხებენ მისი ვალდებულებების დროულად შესრულებას.

3.1.4. რეგულარულად მიაწოდოს დამკვეთს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

3.1.5. სამუშაოს სრულად განხორციელების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს დამკვეთს შესრულებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

3.2. დამკვეთი ვალდებულია:

3.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან წინამდებარე ხელშეკრულების ანგარიშსწორების წესის შესაბამისად.

3.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს შესრულებული სამუშაო.

4. სამუშაოს შესრულების ვადა:

4.1. შემსრულებელი 1.1 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს 2020 წლის 10 მაისამდე.

4.2. სამუშაოს შესრულებისა და დამკვეთისთვის გადაცემისთანავე მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

5.1. სულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს **5 000 (ხუთი ათასი)** ლარს გადასახადების ჩათვლით.

5.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. განსაკუთრებული პირობები:

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

6.2. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულიად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით - ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით და ა.შ.) და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7.2. მხარე,რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

7.3. თუ აშკარაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარე დაუძლეველი ძალის ზემოქმედების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მხარეები ცალკე შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების შესრულების პირობებსა და ვადებზე.

8. ხელშეკრულების მოქმედება:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. დასკვნითი დებულებები:

9.1. მხარეებს შორის ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი ვალდებულების შესრულება გადააკისროს მესამე პირს.

9.3. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების შეცვლა ცალმხრივად, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი :	შემსრულებელი:
შპს **„ჯეო დეველოპმენტ გრუპი“** (ს/ნ : 406189002), **დირექტორი : ალუდა ტარტარაშვილი**	შპს **„გრიინ ბილდერსი“** **Green BuilDers** ს/ნ: 402118686 მის.: ქ.თბილისი, გ.დოლიძის ქ. #26 ს.ს: „თიბისი ბანკი“ ა/ა: GE73TB7766936080100011 **დირექტორი: ც.ჯაფოშვილი**